

ԶԵՐՑԵՐԸ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՏԱՐԱՎԻ 54-Ն ՄԱՂԱ Խ-15131. ՊՐԵՍԵԿԱԳՐՈ. 1977. ՉԱՆՈ 20 ՀԿԱՆՈՒԹ.



ՉԵՇԵՑՑՈՒՅՑ


უშბა მზის საათს ასწორებს,
ცა გახვეულა ნათელი:
ლოცავს სვანეთი ას თორმეტ
კილომეტრიან გზატკეცილს!

ახლა ჯვარ-ხაიშ-მესტიის
მოასფალტებულ მაგისტრალს
სვანი ზეპირობს ლექსივით
ხმაზე ას თორმეტ ჩანგისა!

დაკ, არც ასე, არც ისე,
სვლა ამ გზით აღარ შენედეს!
ვაშა წამევანებს ამ ცისკენ
და ამ გზის ასგზის მშენებლებს!

კველა მიღწევას უდიდესს, —
ენგურით ოომ გვძრავს ხეობა, —
გზას, ტელევიზორს, მუდმივ დენს
კულიდებ მოსახლეობას!

მაღალი ძაბვის ბწკარებით
უნდა ვადიდო სვანები!
მათ სიხარულს და მათ ზეიმს
სვანურად მივესალმები!



არდამნდობელი დარღვევის,
არმოშიშარი ნიაღვის —
სვანეთში დაუბრკოლებლად
ივლის დღეიდან ნიანგიც!

ზეკაცურსა და ზემზიურს,
ქართულძირეულ-ფუძეულს —
დიდება სვანეთს — მსოფლიოს
ამ საღმერთებელ მუზეუმს!

სამყაროს გადასახედად ურმანები
სახელობს, სახემზიანობს! ციტულის
დიდება სვანეთს — მსოფლიოს
საგმირო-სახერგიანოს!

მინდა ვთქვა ქება-დიდება
მე სარალიძე ბორისის,
მადლობა ვუთხრა შრომისთვის,
მადლობა ვუთხრა ბრძოლისთვის!


აქვე ვსარგებლობ შემთხვევით
და — ცით და მიწით გზაღიას —
წელს ორმოცდაათს ვუღოცავ
ნაღდ ვალერიან საღლიანს —

პოეტს, რაინდს და ურნალისტს,
„ახალ სვანეთის“ რედაქტორს
და ქორესპონდენტს „ნიანგის!“
მის დღეგრძელობას ღმერთსა ვთხოვ!

„ლილეოდ“ გვეაღერსება,
ცოცხლობს მთებით და წერს მთებით!
გმეურნალობ მისი ლექსებით —
ვალერიანის წვეთებით!

ზაურ ბოლქვაძე

ნახ. გ. ფირცხალავაში



— უ! მოგიკვდეს ბებია, ფორთხვით ჩამოხვდი?!

ამოცანები ეჭობლ ებისათვის

ამოცანა № 1

თავან გამოიყვანეთ ავტომან-ქანა „ვოლგა“ (გაზ-24), ფასი 9.260 მან., მაღალ იგი გაყიდეთ 25.000 მანეთად და გამოიყვანეთ ავტომან-ქანა „ურგული“ (2106), ფასი 7.930 მან. გამოიანგარიშეთ სუფთა მოგება.

ამოცანა № 2

მალე თქვენ გაყიდეთ ავტომან-ქანა „ურგული“ — 2106 და ისევ გამოიყვანეთ ავტომან-ქანა „ვოლგა“, ორმეტიც გაყიდეთ 25.000 მანეთად. გამოიანგარიშეთ მყიდველის წაგება.

ამოცანა № 3

თავან სახელმწიფო საგანებელი „ვოლგა“ (გ-21) 2.000 მანეთად. გარემონტება დაგიჭდათ 3.000 მანეთი მაღალ იგი გაიყიდეთ 12.000 მანეთად. გამოიანგარიშეთ, რამდენი 1.000-მანეთიანი „დუბლიონების“ ყიდვა შეიძლება მოგებული ფულით! პასუხები „ნიანგში“ არ დაიბეჭდება.

ტიპ-ტიპ

ქართველი კოუკი

— აფსშა, ს ადა ხარ, ძველო დროვ, ხმა-ლო და ხანგალო, დამბაჩავ და სეკუნდანტო! ვის მოაფიქრდა, სახელდახელო ღული გაუ-თვებელი კინკლაობით შეეცვალა? ეს შეც-ლომა რომ არა, რა გაამრავლებდა ამისთანა რეგვენებსა და ბიურკატებს! — ვყვიროდი მე უფროსის გასაგონად, რომლის კაბინეტის კარი ის იყო გამოვიზახულე.

— რა მოვიდა?! — ჩუმად მეკითხებოდნენ ყვირილზე მოგროვებული თანამშრომლები.

— როგორ თუ რა მომივიდა?! მჭამს და არც ვიყვირო?! თანაც ვიცი, რომ ამ უკირილოთაც ვერაფერს გავხდები, მაინც შემჭამს! — ვთქვი და გული ამიჩუყდა.

თანამშრომლებმა დანაწებით გადაქნიეს თა-ვები და გამეცალენ.

— ტყვიამფრქვევი მაინც მეკულებოდეს, ვიყიდიო! — კბილები დაუჭრაჭუნე.

— შემოდი ჩემთან! — უურთან წამიპუტუნა ჩვენი კანცელარიის მოხუცმა მდივანში და ღია კარში შეიძურა.

უკან მივყევო.

— ახლა უხმო იარალია მოდაში, ... მითხრა და თვალი ჩიმიქრა, — თუ გინდა, მე მიგას-წავლი კაცთან, თანამდებობის პირებზე ცვე-ლანირი ცნობები აქვს.

ნახევარი საათის შემდეგ ნახევრად ჩაბნე-ლებულ ოთხში ვიდექი.

— როგორ გინდა, ერთი გასროლით წააქ-ციო, თუ დიდხანს აწვალო?

— რა თქმა უნდა, ერთი გასროლით — მი-ვევ გახარებულმა.

კაცი თევზის იქით იდგა, მე მას ვერ ვხე-ლოდა, ისე მეკითხებოდა.

— რა გვარია შენი უფროსი?

მე გვარი ვუთხარა.

— მაქვს ასეთი საშუალება, ოლონდ ფასზე თუ მოვრიგდებით. აგერ პრეისკურანტს გა-ცანი! — მითხრა „მრჩეველმა“ და დიდი თა-ბაზი გამომიწოდა. თანამდებობის პირის ლიკ-ვიდაციის საშუალებებიდან ინფარქტი ავარჩიე, მაგრამ ფასმა შემზარა; მის გასწერივ ათასი მანეთი ეწერა. მრჩეველი მიხვდა, რომ ვიძვი-რე.

— შე კაი კაცო, იმხელა ტახივით კაცის წაქცევა ხახვივით შეგრჩება, ათას მანეთზე უკან იწევ?

მაშინვე ფულის მოსატანად გავიძეცი. ერთი საათის შემდეგ მოუთმენლად ვცმულავდი ახა-ლი „იარალის“ მილების მოლოდინში. კაცი თევზის იქიდან გამოვიდა, აკანკალებული ხე-ლით ნაწერი ფურცელი მომაწოდა, თან ხმა-რების წესი მოაყოლა:

— ყველამე, ძილის წინ, მასზე ბრალდე-ბას ტელეფონით გადასცემ, ოლონდ გაურკვებ-ლობაში უნდა იყოლო, არც თავი უნდა გა-ამჟაგნო და არც ის უთხრა, თუ სად აპირებ საჩივრის შეტანა! კვირის ბოლოს ინფარქტი გარდაუვალია!

— ეს ცნობები საიდან გაქვთ? — დავეჭვდი მე.

— კერძო არქივიდან. — დამაჯერებლად მომიგო „მრჩეველმა“.


დირექტორისათვის ბრალდების გადაცემა დასკანტით დავიწეუ და, კონტრალტო-სოპ-რანო-ტენორ-ბარიტონს გავლით, ბასამდე მი-ვედი... მოუთმენლად ველოდი შედეგს.

ორშაბათს, სამსახურში რომ მივედი, გავიგე, უფროსს ჩემი მოხსნის ბრანდება დაეწერა, თვი-თონ კი ტურისტული მატარებლით საზოვარგა-რეთ წასულიყო.

მაშინვე არქივარუსისაკენ გავიძეცი. კარი დაკეტილი დამიხვდა. იქვე კადელზე მსხვილი ასოებით ეწერა: „არქივარუსი გადავიდა სიკ-ტივეარ-ვორეუტა-ვერსიანს-მაგადანის გავლით კამჩატკაზე, შემოქმედებითი წვის ჩასაქრობად!“

ელგუჯა გერაბიშვილი

ერთვენის
გიგანტის




უსიტყვოდ



უსიტყვოდ





— ყველა წომის შესრულებაზე ერთაშე თხოულობს და
ეერ იქაჩის: საჭმეს კეთილსიცდისირად ასრულებს!

- სხვის ნაკლჲე ბევრს იმიტომ ლა-
ვარაკობდა, რომ საკუთარი დაეფარა.
- კრიტიკას ერიდებოდა, რადგან სა-
კუთარი ცოდვებიც იხსოვდა.
- სხვის ღირსებას როგორ დააფა-
სებდა, როცა საკუთარს არ უფრთხოლებო-
და.
- უფროსთან კამათში იმარჯვებდა
და ყველა დამარცხებულიდ თვლიდა.
- რაც უფრო მეტ პატივს სცემდნენ,
უფრო უპატივცემულოდ თვლიდა თავს.
- ყველა უაზროდ თვლიდა რადგან
საკუთარ აზრებს ხმამალი გამოთვამდა.
- უფლომას არასდროს უშვებდა, რად-
გან არაფერს აკეთებდა.

ალმანახორ თავავა



— ტელეფონს ასამართლებან?
— აბა, რა?! მაგან შეჭრა ზოგ-ზოგი სამაჭრო გაზიმი!

„სერემონია ქარები...“

ერთონიშვილი

მოკლე „შინაარსი სპექტაკლისა, რუმელიც ქარების ციხის“ მოტივზეა აგებული და აგერ უკვე მეორე წე-
ლია, წარმატებით იდგმება დაბა სურამში, 25 თებერ-
ვლის ქუჩაზე.

საეჭტაკლის სიუჟეტი ნამდვილ ამბავზეა აგე-
ბული. მოქმედება იწყება 1976 წლიდან, როცა 25 თე-
ბერვლის ქუჩაზე გაზიფიკაციის სამუშაოები დაიწყო საქ-
სარ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის სამართველოს
„მთავარგაზის“ სამშენებლო-სარემონტო ტრესტის გო-
რის სამშენებლო სამართველომ (უფროსი — ა. ა. იუ-
ფეროვი), ნერავ არ დაეწყოთ!

თეატრალური სანახაობის დასაწყისში, 25 თებერვ-
ლის ქუჩის მცხოვრები მუხლმოდერეკით შეპლატებენ
მშენებლებს: მიწის ყოველგვარ სათხრელ სამუშაოებს
ჩვენ შევასრულებთ, თორებ, სადაც თქვენი ექსკვატო-
რები და ბულდოზერები იბულონებენ, იქ ასფალტის
საფარი აღარ გადარჩება, წყალსადენის მიღები აცრემ-
ლდებიან, წყალგამტარი არხი წყალგაუმტარი გაძლებაო.

მშენებელთა ვირტუოზული აქტიორობის წყალობთ
მაყურებელთავის სამუდამო საიდუმლოდ დარჩება მათ
მიერ სურამელთა გულამოსკვნილი ოხოვნის იჯორირე-
ბა.

ამის შემდეგ სცენის დეკორატიული გაფორმება აღარ
იცვლება და სპექტაკლი ძალზე საინტერესოდ მიღინა-
რების: 25 თებერვლის ქუჩის მცხოვრები, წყლიანი
ჭურჭლით ხელში, გადარჩიან, ატალახიანებულ კოლბო-
ნებზე... ქუჩის ასფალტის საფარი ერთიანად გადაჭიფგ-
ნილია, წყალსადენის მიღები — ამოყრილი, ხოლო წყალ-
გამტარი არხი — ამოვსებული.

ცრემლის მოგრძოდე შთამბეჭდვია ფინალური სცე-
ნა, სადაც დაბა სურამის 25 თებერვლის ქუჩის მცხოვ-
რები საჩივრების ფრიალით დარჩიან სხვადასხვა ინს-
ტანციებში და მოითხოვენ ანგრეულ-მოოხრებული ქუ-
ჩის შეკეთებას, ხოლო ქუჩის ფუნდამენტის გამარტინი-
სათვის — შიგ ვაი-მშენებლების ჩაყოლებას.

მაყურებლებს შეუძლიათ, არ იჩქარონ აღნიშნულ
სპექტაკლზე დასასწრებლად, ვინაიდან გორის სამშენებ-
ლო-სარემონტო სამართველოს (უფროსი ისევ ა. ა. იუ-
ფეროვი) მიერ წაყრუების პოლიტიკის ბრწყინვალედ გან-
ხორციელება ეჭის არ ბადებს, რომ წარმოდგენის
ჩვენება წარმატებით გაგრძელდება კიდევ არმდენიმე
წელიწადს.


როლანდ ჯალალანია

მართებს უფროსებს!..

ხელჭვეითზე
თუკი სიტყვას
მეტს ამბობს და
საქმეზედაც
გაცილებით
მეტს საუბრობს, —
საქმეც მეტი,
ცოტა უფრო, —
მართებს უფროსს!
ხელჭვეითის
თვალში თუკი
ბეწვაც ამზნევს,
უფროსობის
ოსტატობას
ისე თუ ფლობს,—
თავის თვალში


დირე მაინც დაინახოს, —
მართებს უფროსს!
თუკი იბრძვის,
გულით ცდილობს, —
ხელჭვეითობს
უინი ხეჭის,
ხელმრუდობის,
რომ ჩაუქროს, —
თვით დათრგუნოს
ცხველური
უინი ესე! —
მათზე აღრე,
მათზე უფრო —
მართებს უფროსს!

გმშან სჩანიძე



ფერულთის სეზონის დახურვა

ნახ. გ. ფირცხალავასი



უსიტყვოდ

ჭიათურის აბანოვი

უური მოგვაპყარ, ნიანგო,
ნილოსის წყალში ნაბანო:
მაღაროელთა ქალაქში
გვაქვს ერთადერთი აბანო!

მუშაობს ორი ნომერი,
ორივე — ჭვარტლით ნაფერი,
მაღალ ჭერს ხავსი ამშვენებს,
იატაკს — ძველი კაცელი.


სამი შხაპი აქვს საერთოს,
ორმოც კაცს ემსახურება,
რიგს სათობით ელიან,
გულს დაგწევეტს მათი ყურება!..

ონკანებია მოშლილი,
ვიღლებით მათი მოშვებით,
უოველ წუთს გვძვრება ფეხებზე
სალტეამდვრალი ქოშები!..

ნიანგო, გულისტკივილი
სხვას ვისლა გავუზიაროთ?!.
ტანთ დასაბანად საჩერეს
თუ ზესტაფონში ვიაროთ?

ეთერ ჯიშჩარიანი

(ქ. ჭიათურა)



ჩემულების ამავი

გაჩერებაზე ჩემულებრივად ბევრი ხალხი იდგა. ჩემი ავტობუსი ჩემულებრივად იგვიანებდა. ხალხი ჩემულებრივად ნერვიულობდა! ერთი სიტყვით, არაფერი იყო არაჩემულებრივი იმაში, რომ ყელა-ფერი ჩემულებრივად იყო. ბოლოს, როგორც იქნა, მთხოვნინდა ავტობუსი. ვისაც კი ეს მარშრუტი გვაწყობდა, ჩემულებრივად ვეზ-დღვენით ავტობუსის კარებს. შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ რეგბის ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა. ჩემულებრივად ფეხზე დამაბიჯა ვიდაცამ. ეტყობა, ჩემს გვერდით გაკვებებულ გაცაც დააბიჯეს ფეხი, რადგან ისეთი იყვირა, რომ ავტობუსის ორი მინა ზრიალით ჩამოიღო. მე გამეცინა. იმაზე გამეცინა, რომ ჩემს ბედზე ნორმალური ფეხი მაქვს. აბა, ცოტა დიდი რომ მქონოდა, ხომ ორი კაცი დამადგამდა ფეხს. ვიღაცამ იყვირა, არიქა ღილები დასხვრა ჩემს პალტოს. მეორემ მიაყოლა, ეგ რა არის, მე პიჯაკი გამხადეს. ჩემს ლაბადას უკვე მოძრობილი ჰქონდა ორი ლილი და მესამე მწიფე მსალივით იყო ჩამოკიდებული, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ხმა არ ამომიღია კი არა, სიცილით ვიგულდებოდი. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ დაიძახა; შარგალი მძვრება, ქამარი გამომაძრო ვიღაცამ. მე კვლავ გადაეხისარხარე, შარგალი უკვე რამდენი ხანია ხელით მეტირა. ვიცინდი და ვიცინდი. ხალხი გადარევული მიუურებდა, ამ სულეოს რა აცინგბაო? აერ, ამ სიცილში, ხალათი შემომაფხრიწეს ტანზე და ცალი ფეხსაცმელი გამხადეს. მე მაინც ვიცინდი. ხალხს უკვირს, ავტობუსი კი მიდის და სულ უფრო მეტი ხალხი ამოდის. ავტობუსიდან ნახევრად შიშველი ჩამოვდივარ. რაც მაცვია, ისიც დახეული და ტალახშია ამოთხარილი, მაგრამ მაინც ვიცინი, ვიცინი იმიტომ, რომ ჩემი საქმისა მე ვიცი... სხვებიც ჩამოვიდნენ ავტობუსიდან ჩემსავით გაღლეტილები, მაგრამ სიცილი არავის მოსკვლია აზრად. სიცილი კი არა, ცოდვის ტირილია ირგვლივ. მე კი ვიცი და მიკვირს, მიკვირს და მინდა ვიყვირი. რა დაგემართათ, ხალხი, თქვენ?! მე ხომ მიყურებთ, ახლა ნახავთ, რასაც ვითამ! ასეთ უბრალო რამეზე გაგიგიათ ნერვების აშლა?! მიგალ ახლა სამსახურში, ჩავდეგები თანამშრომელთა რიგში, მოვა ჩემი ჯერი, გამოგრატმექ ჩემს წინ მდგარ ამხანაგს და კოლეგას ჯაგრისადა ერთ საათში გავწმენდა ჩემს ტალახში ამოსვრილ ტანსაცმელს. მანამდე უთოც მოიცლის, დავდგები და ჩემს შარვალს გავატკიცინებ. მერე ნემსა და ძაფს ვიშოვი და ლაბადას და ჭიჯაკს ჩავუჯდები, მანამდე ფეხსაცმლის კრემს მოიტანს ვინმე და ახლა შავად ავაპრიალებ ფეხსაცმელს. ასე და ამგვარად ცხრა საათიდან დღის სუთ საათამდე მთელი ჩგნი განყოფილება ამგვარი საქმეებით იქნება დაკავებული. აი, რატომ ვკვდები მე სიცილით! რა დაგემართათ, ხალხო? თქვენც ხომ გაქვთ სამსახური? მიხვალთ იქ და მოაგდარებთ ყველაფერს, მაგაზე გაგიგიათ ნერვების აშლა?!

ანდრო კოკოლიძე

გარატები ნიანგი

ონკანი რე ლი ქ ვ ი ა ა, წყალი — იშვიათი სტუმარი, რომელიც თვეში ერთხელ გვესტუმრება ხოლმე, ისიც რამდენიმე წუთით. სარეცხისათვის წვიმის წყალს ვაგროვებთ, ლიმონისა და ბორჯომს სავათა, არც ლვინოზე ვამბობთ უარს. ჩვენთან წყალი უველა სასტელზე ძირია. გოხოვთ გამოვივგზაუნოთ სასმელი წყალი, ბორჯომი, ლიმონათი, კონაკი და ლვინ ჩვენშე იყოს!

თუ წარხვალო, ორმოხე მხტუნი ავტომანენით წამოდით! ლამბიონებმა არ შეგაცილით: ღლე მტერს თვალს უბრძავებს, ღმევ კი ჩვენ დავდივარ ბრძებივით...

კულტურის სახლში საკუთარი სკმით მოვიდერთ და ერთ სერია კირფილმა ასმენიმე სერიის დროში ვნახულობთ. სასერიონი წვენა ვართ. გუშინდელ გაეთს ღლეს ვლებულობთ, ღლევანდელს — ხეალ, ხვალინდელს — ზეგ და ა. უ.

აბანოში ფეხსაცმელებს კრავენ. ჰოდა, ჩვენც რეინის ჭალამნები გვაწეს შეკვეთილი, თუ არ ჩამოვალთ, ჩვენ გასტუმრებით.

გარდაბნის რაიონი, სოჭ. გამარჯვება

გეგარებული თიკანი მგელმა შეინახაო. — ეს ანდაზა არც გაუგონია და, რომც გაეგონა, ვალენტინი სერგოს ასულ სტენანის სასაცავიდაც ეკუთვნია, როცა იგი საქართველოს სახ შს ურმამასწორების სამართველოს ერთ-ერთ დაწესებულების ურთისერთამშემარე სალაროს ჩაუდას სათავში და თანხს შეგროვება დაიწყო. მეტვრილმანეათ, რომ არ ეთვალი, სოლიდური თანხა შეაგრივა და საავადყოფოში დაწვა. აწრიალდნენ 5 ათასი შანეთის პატრიონები. სავალმყოფოში იმდენ მნახველი აღმოჩნდა ვალენტინის, რამდენი წევრიც იყო ურთისერთამშემარე სალაროს, მაგრამ ფული ვერად უზოვეს. საავადყოფოდან გამოწერის შემდეგ შეახველები კელავა აფთხებარენ „ლოსეცულ მოლარეს“ ბინაზე. ხომ არაფერი გნებავთ, ქალაბრონ ვალენტინაო, ებბებრილნენ. „თავმდაბალი“ და „მოქადალებული“ ვალენტინა კი მნახველებს პასუხობდა: თქვენ კარგად იყავით, ხელა შეწუბებებით. რაც შეეხება ფულს, ფული ფალუზი თქვენ ურალებულობით. თუ შეეხება ფულს, ფული ფალუზი!

მნახველების დიდი ჯგუფი გვეკიტება: გააგრძელოთ „ავადმყოფის“ მონახულება ბინაზე, თუ დაველოდოთ „გამოწამრობელება-სო“?

შანი სიხარულიძე

卷之三

77-830


947363-7
ЗПВЧПМОД
индекс

Индекс 76137

ამტრიკის შეერთებულ შტატებში ყოველდღიურად
2,5 წუთში ხდება შეინარჩუნებული თავდასხმა და ძარ-
აცა, ყოველ 40 წუთში — მკლელობა და ყოველ
დღე პლაიცია 250 ათას ცალ ციცქასტროლი იარა-
ოს კონფისიკაციას აზრენ.

ეურნალი „ჰირპერი“

ବ୍ୟାକରଣ ପତ୍ରିକା



628. 3. ଲକ୍ଷ୍ମୀପାତ୍ର

მთავარი რედაქტორი ზურბან გეგაზაშვილი სარედაციო კოლეგია: ქ. გოლიძეავა (მთ. რედ. გოლიძე), ჰ. პაციაშვილი, ქ. ლომაშვილი, გ. ლომიშვილი, ხ. გალაგონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიშვილი, გ. სინარულიშვილი (ქ/მგ. მდივანი), გ. ფილოცხლაშვილი, თ. პელიშვილი რედაქტორი გ. გუსალაშვილი, ც სატირისა და იუმორის უნიკალი „ნიანგი“. ც თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ც საქართველოს კაც-ის გამომცემლობა, ც გადაეცა ასწყუბად 3/XI-77 წ., იელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII-77 წ., ქალაქის ზომა 70×1081/8 ფიზიკური ნაბეჭდი იურული 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 1.7. ც საქართველოს კაც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ც უკვ. 3293 უ 00862 ტიჩ. 140.000 ც თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, სატირიკო-იურისტიკური ჟურნალი «Ниангі». ც Издательство ЦК КП Грузии. ც Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონი: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემთხვევაში მასალები ავტორუბის არ თბრუნობათ

କୁଳାତ୍ମି ରାଜସ୍ଥାନ, ଅତ୍ରି-
ରାଜ୍ୟ: ଗ. ବାଣିଜ୍ୟ, ଗ. ଶୈଳ-
ଲୀପିଯାର, ଗ. ପ୍ରାଚୀନ୍ତି, ଗ. ବୋ-
ଲେଖାର, ଗ. ଏଲ୍ଲାପିଲ୍ଲା,
ଗ. ମାତ୍ରମାନାଶ୍ଵିଳୀ, ଗ. ଉତ୍ତମ-
ହାର.